RED Group

#01/01

03.02.2012

კონსტრუქციული დასკვნა შენობის საერთო მდგრადობაზე ღიობების ამოჭრისა და შიდა კიბის მონტაჟზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქანთარიას ქ. #11ა.

შენობა წარმოადგენს სამ სართულიან, მანსარდიან, სარდაფიან ნაგებობას. შენობა აშენებულია წინა საუკუნის 90-იან წლებში და წარმოადგენს მსხვილპანელოვანი საკედლე ბლოკებითა და გადახურვის პს (სიმკარი) ტიპის ასაკრეფი ფილებით აშენებულ ნაგებობას, რ. ბ. ჩანართებით, როგორც კედლებში, ასევე გადახურვის ფილებს შორის. კედლები შეკრულია რკინაბეტონის ქამარი-რიგელებით (გამოყენებულია ჩიხური პროექტის შენობის კონსტრუქციები) . შენობას გააჩნია ლენტური ფუნდამენტი.

ვიზუალური დაკვირვებით ნაგებობა საუკეთესო მდგომარეობაშია, არსად გააჩნია ჯდომები, ბზარები, ლესვის ნახეთქები. ასევე არ გააჩნია თუნდაც მცირე ბზარი, გარე ეზოს პერიმეტრის საფარსა და ფუნდამენტს შორის.

საჭიროა, ამოიჭრას გადახურვა სარდაფსა და პირველ სართულს შორის ასასვლელი კიბისათვის. ამისათვის საჭიროა გადახურვის ერთი ფილის მოხსნა. ფილა უნდა დაიშალოს სიგრძივი განვითარებით, პნევმატური ჩაქუჩით, ზოლებად, ფილაში არსებული ღიობი - მილების გასწვრივ. შემდეგ მოიხსნას ფილის არმატურები, მოეწყოს ბაქანი ნახაზის მიხედვით და დამონტაჟდეს კიბე.

ღიობების ამოჭრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ღიობის ადგილები კედელზე დახაზვის შემდგომ გარშემო ჩაიჭრას ფლექსით (ბალგარკა) და დაიშალოს პნევმატური ჩაქუჩით, რომლის დარტყმის ძალა არ იქნება 30 ჯოულზე მეტი. ყველა ღიობი ჩაისვას ლითონის კორსეტში

იმ შემთხვევაში, თუ ღიობი ემთხვევა ქამარი-რიგელის გადაბმის ადგილს, მაშინ წინასწარ ამოსაჭრელი ღიობის თავზე (ქამრის ქვეშ) ამოიჭრას შტრაბები კედლის ორივე მხარეს სიმაღლით 18 სმ, სიღრმით 12 სმ, სიგრძით - ღიობს გადაცილებული 25 – 25 სმ. ჩაესხას ქვიშა-ცემენტის ხსნარი და ორივე მხარეს ჩაიდოს შველერები №16. ხსნარის გამაგრების შემდგომ შველერები და მათ შორის მოთავსებული კედლის ნაწილი გაიხვრიტოს D-30 ბურღით და დამონტაჟდეს D-28 ბოლტ-გაიკა, დაეჭიროს მთელი ძალით. ამის შემდგომ შეიძლება ქვეშ გამოიჭრას ღიობი ზემოთ ჩამოყალიბებული წესით.

ამ გადაწყვეტილებებითა და ინსტრუქციებით შენობის მდგრადობა და მედეგობა შენარჩუნებული იქნება. ნაგებობის მდგრადობას საფრთხე არ მოელის და თავისუფლად შეიძლება მისი ექსპლუატაცია.

კონსტრუქტორი: დ. ცხვედაძე

დირექტორი: კ. გულიაშვილი

საქართველო, თბილისი, ვაჟა – ფშაველას გამზ №16, ტელ: +995 97 997970, E-mail: redgroup77@yahoo.com

#16 Vazha–Pshavela Ave, Tbilisi, Georgia, Tel: +995 97 997970, Email: redgroup77@yahoo.com